# არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობის მოდელი





მომზადებულია: მიხაელ ჰოსეკის, ევა კნიჟატკოვას, იური ფლუზეკის ინდრიხ ხლაპეკის, ევა ზელენკოვას და იან მატერნას მიერ

ოქტომბერი, 2020

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

**შინაარსი**

1 შესავალი ....................................................................................................................2
2 წინაისტორია და კონტექსტი ....................................................................................2
2.1 საქართველოში დაცული ლანდშაფტების მმართველობის არსებული სისტემა ....2
2.2 არაგვის დაცული ლანდშაფტის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც გასათვალისწინებელია მმართველობის საკითხთან მიმართებაში ...............................4
3 არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობის სისტემის შეთავაზება .....................5
3.1 კომპეტენციები....................................................................................................6
3.2 მრჩეველთა საბჭო ...............................................................................................6
3.3 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია - სტრატეგიული ამოცანები ....7
3.4 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სტრუქტურა .............................8
3.4.1 ადმინისტრაციული და პროექტების განყოფილება .........................................8
3.4.2 ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება ...........................................10
3.4.3 მდგრადი განვითარების განყოფილება ..........................................................12
3.5 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ..........................................................................13
3.5.1 შესაძლებლობების გაძლიერება .......................................................................13
3.5.2 აღჭურვილობა და ოფისები ...............................................................................14

## აბრივიატურები

მს – მრჩეველთა საბჭო
დტს – დაცული ტერიტორიების სააგენტო
ადლ – არაგვის დაცული ლანდშაფტი
ადლა – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია
დმ – დუშეთის მუნიციპალიტეტი
მგ – მენეჯმენტის გეგმა
ესს – ეროვნული სატყეო სააგენტო
აო – არასამთავრობო ორგანიზაცია
ეპ – ეროვნული პარკი
დტ – დაცული ტერიტორია
დლ– დაცული ლანდშაფტი
დლა – დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია
სნ – სახელმწიფო ნაკრძალი
ტდ – ტექნიკური დავალება (არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციული განყოფილებებისთვის და თანამშრომლებისთვის)
თდლ– თუშეთის დაცული ლანდშაფტი

## ტერმინოლოგია

დოკუმენტში ხშირად გამოყენებული ტერმინების მკაფიოდ გასაგებად წარმოდგენილი განმარტებები:

<u>მმართველობა</u> მოიცავს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრირებას, აღსრულებას, საველე მენეჯმენტს და საქმიანობების მონიტორინგს.

<u>დაცული ლანდშაფტის მართვას</u> განსაზღვრავს მოქმედი მენეჯმენტის გეგმა (რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა). მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს ტერიტორიის მდგრადი გამოყენების წესებს, შესაბამის ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ სფეროში, ასევე აღნიშნულ სფეროში ყველა საქმიანობის მონიტორინგს.

<u>დაცული ლანდშაფტი</u> არის დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც განისაზღვრება დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის (1996) მე-8 მუხლით: დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

<u>დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია</u> არის კომპეტენტური მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული ორგანო, როგორც მისი ცალკეული ერთეული.

# 1 შესავალი

პროექტის და წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტის ეფექტური და სრულად ფუნქციონირებადი არაგვის დაცული ლანდშაფტის დაარსების და ადმინისტრირების პროცესში დახმარება დაცული ლანდშაფტის საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის, გამოცდილებისა და გადაწყვეტილებების, დაცული ლანდშაფტის მმართველობის, მენეჯმენტის სტრუქტურის და მენეჯმენტის დაგეგმვის საფუძველზე. დოკუმენტის ავტორებს აქვთ დაცული ლანდშაფტების დაგეგმვის და მართვის პირდაპირი გამოცდილება არა მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკაში, არამედ თუშეთის დაცულ ლანდშაფტსა და მაჭახელას შემოთავაზებულ დაცულ ლანდშატში.

ეს დოკუმენტი მომზადდა 2020 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა კანონი არაგვის დაცული ლანდშაფტის დაარსებისა და მართვის შესახებ. კანონი წარმოადგენს არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობის მოდელის იურიდიულ საფუძველს და ამ დოკუმენტში შემდგომში მოცემულია მისი პრაქტიკული განხორციელების დეტალები. იგი მიზნად ისახავს საფუძველი შექმნას დაცული ლანდშაფტის მმართველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა პროექტის "არაგვის დაცული ლანდშაფტის დაარსება და მდგრადი მართვა" ფარგლებში (No. GE-2018-022-FO-43040/4), რომელიც დაფინანსებულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ.

# 2 წინაისტორია და კონტექსტი

## 2.1 საქართველოში დაცული ლანდშაფტების მმართველობის არსებული სისტემა

დაცული ლანდშაფტი, როგორც კატეგორია განისაზღვრა საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საკანონით 1996 წელს. ქვეყნის დაცული ტერიტორიების სისტემა სრულად არის ინსპირირებული IUCN-ის დტ-ის კლასიფიკაციით, ანუ, ეროვნული მნიშვნელობის მქონე დაცული ტერიტორიების კატეგორიები იდენტურია IUCN-ით განსაზღვრული კატეგორიების[1],, თუმცა მათი სახელები ერთამნეთს სრულად არ ემთხვევა.

დაცული ტერიტორიების ეროვნული კლასიფიკაცია, ისევე როგორც IUCN-ის კლასიფიკაცია, ეფუძნება მენეჯმენტის მიდგომას. იმის გამო, რომ საქართველოში დტ-ების აბსოლუტური უმრავლესობა განსაზღვრულია როგორც ეროვნული პარკი და სახელმწიფო ნაკრძალი, აღნიშნულ ტერიტორიებზე ძირითადად ხორციელდება არაინტერვენციული მენეჯმენტის მიდგომა.

ამის საპირისპიროდ, დაცული ლანდშაფტები წარმოადგენს ტერიტორიებს, რომლებიც ითხოვს ბუნებრივი ან კულტურული მემკვიდრეობის ღირებული მოზაიკის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას, რომელიც განვითარდა ადგილობრივი თემის ან თემების მიერ კონკრეტული ტერიტორიის გრძელვადიანი სპეციფიკური და დაბალანსებული ტრადიციული გამოყენების წყალობით. ეს განაპირობებს არა მხოლოდ არსებული ლანდშაფტის მახასიათებლების დიდ მნიშვნელობას, არამედ დაცული ლანდშაფტის ტრადიციებისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად აქტიური მართვის საჭიროებას. იმ დროს როცა ეროვნული პარკები და ნაკრძალები მეტნაკლებად მკაცრად არის დაცული ადამიანის ზემოქმედებისგან, დაცული

1 [1] დაცული ტერიტორიებისთვის მართვის კატეგორიების მინიჭების სახელმძღვანელო დოკუმენტები: https://www.iucn.org/sites/dev/files/import/downloads/iucn_assignment_1.pdf

ლანდშაფტები დაცული უნდა იყოს მათი აქტიური მართვისა და ტრადიციული გამოყენების საშუალებით.

აღნიშნული საკითხი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის დაცული ტერიტორიების ამჟამინდელი მართვის სისტემასთან. საქართველოში დაცული ტერიტორიების უმრავლესობა (მაგ. ეროვნული პარკები, ნაკრძალები, სხვა) დაცული ტერიტორიების სააგენტოს, როგორც ბუნების კონსერვაციის ძირითადი უწყების პასუხიმგებლობის ქვეშ არის მოქცეული.

დღეს რეგიონებში არსებული დიდი მასშტაბის დაცული ტერიტორიები, გარდა თუშეთის დაცული ლანდშაფტისა, წარმოადგენს დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეგიონულ განშტოებებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ბუნების კონსერვაციის ტექნიკური შესაძლებლობები ხელმისაწვდომია ექსკლუზიურად დაცული ტერიტორიების სააგენტოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაცული ტერიტორიების სისტემა მნიშვნელოვანწილად ცენტრალიზებულია და მხოლოდ მცირე ჩართულობის შესაძლებლობას იძლება ადგილობრივი მოსახლეობისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.

სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების შეზღუდული შესაძლებლობის (ტექნიკური და ფინანსური) გამო, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით მასშტაბური დაცული ტერიტორიების გარშემო ხშირად ქმნიან "მეგობართა ასოციაციებს" არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსით. აღნიშნული ასოციაციები მხარს უჭერენ შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს პროექტების (ხშირად საერთაშორისო) განხორციელებით.ეს ასევე ეხება სამივე დაცულ ლანდშაფტს, რომლებიც უკვე დაარსებულია ან დაარსების პროცესშია[2]. თუ ერთ არეალში მდებარეობს ერთზე მეტი კატეგორიის დაცული ტერიტორიები ასოციაციები, როგორც წესი, მუშაობენ ყველასთან და ამით ასევე ეხმარებიან მათ ადმინისტრაციებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობაშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ასეთი ასოციაციების მხარდაჭერა და მათთან რეგულარული თანამშრომლობა.

სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების და ასოციაციების გარდა, დაცულ ტერიტორიებთან მუშაობენ ეროვნული დონის არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ. NACRES ან CENN). ისინი ფოკუსირებულნი არიან კონკრეტულ სფეროებზე და მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნიათ აღნიშნული მიმართულებით (NACRES ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში და CENN ადგილობრივი თემების ჩართულობასა და განათლებაში). მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი პარტნიორები გახდნენ არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისათვის შესაძლებლობების გაძლიერები პერიოდში, დაცული ლანდშაფტის შესახებ ცოდნის ბაზის ჩამოყალიბების მიმართულებით.

2020 წლისთვის საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი დაარსებული დაცული ლანდშაფტი (თუშეთის დლ) და ორი დაცული ლანდშაფტის დაარსება დაგეგმილია უახლოეს მომავალში (არაგვი და მაჭახელი). ამიტომ პირველი გამოცდილების მიღება შეიძლება მხოლოდ თუშეთის დაცული ლანდშაფტიდან, რომელიც 2003 წელს დაარსდა. იგი მოიცავს დასახლებებს, ინფრასტრუქტურასა და კულტურულ ლანდშაფტს თუშეთის მიდამოებში და გარშემორტყმულია თუშეთის ეროვნული პარკით და თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალით. მიუხედავად იმისა, რომ დაცული ლანდშაფტი 17 წლის წინ შეიქმნა, მისი ადმინისტრაცია უფრო გვიან, 2012 წელს ჩამოყალიბდა. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის ცალკე ერთეულია, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. თუშეთის დლ-ს აქვს ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ

---

[2] თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია (არაგვისთვის), მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია.

გამოყოფილი ბიუჯეტი, ასევე შემოსავალი ხე-ტყის გაყიდვიდან და გრანტებიდან. თუშეთის დლა-ს მიერ მართული ტერიტორია მოიცავს 31,517 ჰა-ს.

## 2.2 არაგვის დაცული ლანდშაფტის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც გასათვალისწინებელია მმართველობის საკითხთან მიმართებაში

მმართველობის მოდელის და ეფექტური დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სპეციფიკური მახასიათებლები და შეთავაზება მოერგოს მის სპეციფიკურ საჭიროებებსა და პირობებს. არაგვის დაცული ლანდშაფტი და მისი უნიკალური ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების სრული აღწერა და ანალიზი მოცემულია მენეჯმენტის გეგმის პროექტში. აქ ჩვენ წარმოგიდგენთ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტების მოკლე აღწერას, რაც მნიშვნელოვანია მართვის მოდელისა და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სტრუქტურის და ფუნქციებისათვის.

**ფართობი**: არაგვის დაცული ლანდშაფტის ფართობი დიდია მისი ისტორიული და ბუნებრივი ღირებულებებიდან გამომდინარე - 99,802 ჰა ფართობით ის განეკუთვნება საქართველოს უდიდესი დაცული ტერიტორიების რიცხვს და სამჯერ დიდია დღეისათვის არსებულ ერთადერთ დაცულ ლანდშაფტთან - თუშეთის დაცულ ლანდშაფთან შედარებით. აქედან გამომდინარე, არაგვის დაცულ ლანდშაფტს გააჩნია საჭიროება ჰყავდეს საკმარისი თანამშრომლები, რომ მოიცვას მთელი დაცული ლანდშაფტის ტერიტორია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ საჭიროების შემთხვევაში ადვილად შეძლოს მათთან დაკავშირება - მიზანშეწონილია ასევე, შეიქმნას სეზონური განყოფილებები/ოფისები იმ ადგილებში, რომლებიც უფრო შორს მდებარეობენ დაცული ლანდშაფტის სათაო ოფისიდან.

**სამი გამორჩეული ტერიტორია**: არაგვის დაცული ლანდშაფტი მოიცავს სამ გამორჩეულ ტერიტორიას - გუდამაყარი, ფშავი და პირაქეთა ხევსურეთი. მნიშვნელოვანია, რომ სამივე თემის წარმომადგენლებმა თანაბრად მიიღონ მონაწილეობა დაცული ლანდშაფტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სასურველია, რომ ზემოხსენებული სეზონური ოფისები განთავსდეს ერთი გუდამაყრის ხეობაში და მეორე პირაქეთა ხევსურეთში, იმ შემთხვევაში თუ სათაო ოფისი განთავსდება ფშავში, ან პირიქით.

**ბუნებრივი მრავაფეროვნება**: არაგვის დაცული ლანდშაფტი მოიცავს მრავალფეროვან ეკოსისტემებს: ძირითადად ტყეებს, სათიბ-საძოვრებს, ალპურ ჰაბიტატებსა და მდინარეებს, ამიტომ იგი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით.

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის გადამწყვეტი ამოცანაა უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, რაც საფრთხის ქვეშ არ დააყენებს ტერიტორიის უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციამ უნდა დაიქირავოს ექსპერტები, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი რესურსების (წყლის რესურსები, სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა და ბიომრავალფეროვნება) მართვის კარგი ცოდნა. მმართველობისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ არაგვის დაცულ ლანდშაფტში სახელმწიფო ტყეებს მართავს ეროვნული სატყეო სააგენტო, რაც დამატებითი კოორდინაციის ძალისხმევას საჭიროებს.

**ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ბუფერული ზონა**: არაგვის დაცული ლანდშაფტი ბუფერული ზონის ფუნქციას ასრულებს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკისთვის. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას, რაც უზრუნველჰყოფს ორივე დაცული ტერიტორიის ძალისხმევის ჰარმონიზებას.

**კულტურული ტრადიციები და მდგრადი განვითარების პოტენციალი**: არაგვის დაცული ლანდშაფტის სამივე რეგიონის შედარებით დაცული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა მიმზიდველია ვიზიტორებისთვის და ასევე სთავაზობს მათ რესურსების მდგრადი გამოყენების მაგალითს. ამ ტრადიციების პატივისცემა და სწავლა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დლა მენეჯმენტისთვის. ურბანული ტერიტორიებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების მკაფიო წესების დადგენა, რაც არ დააზიანებს ლანდშაფტის შენარჩუნებულ ხასიათს დლა-ს კიდევ ერთი პრიორიტეტია. ადმინისტრაციაში დასაქმებული უნდა იყვნენ ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები, რომლებიც შეავსებენ დლა-ს პერსონალის საჭიროებებს აღნიშნული მიმართულებით.

**რთული საცხოვრებელი პირობები**: მთელ მსოფლიოში, მთის რეგიონებში არის სპეციფიური პირობები, რაც ცხოვრებას უფრო რთულს ხდის და ამ მხრივ არაგვის დაცული ლანდშაფტი გამონაკლისი არ არის. მეწყერები, რთული ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ზამთარში, სამუშაო ადგილების სიმცირე, ცუდი ინფრასტრუქტურა და ა.შ. იწვევს მოსახლების მიგრაციას და ტერიტორიის დაცლას. ბიომრავალფეროვნება და დაცული ლანდშაფტის სპეციფიკური ლანდშაფტი მჭიდრო კავშირშია ამ ტერიტორიების ტრადიციულ გამოყენებასთან. დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის სურვილს დარჩეს საკუთარ სოფლებში და ხელი შეუწყოს ტერიტორიის მდგრად გამოყენებას.

**თბილისის სიახლოვე და ტურისტული პოტენციალი**: არაგვის დაცული ლანდშაფტს, ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების წყალობით აქვს მკაფიო ტურისტული პოტენციალი, რაც კიდევ უფრო განმტკიცებულია დედაქალაქის შედარებითი სიახლოვით. აღნიშნული წარმოადგენს შესაძლებლობას, მაგრამ შეიძლება იყოს საფრთხეც. არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია თავისი საქმიანობის დასაწყისიდანვე ფოკუსირებული უნდა იყოს ტურიზმის განვითარების მდგრადი გადაწყვეტილებების მოძიებაზე.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის კონკრეტული რეკომენდაციები მოცემულია შემდეგ თავებში.

# 3 არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობის სისტემის შეთავაზება

დაცული ლანდშაფტის მმართველობის სისტემის ჩარჩო განსაზღვრულია შესაბამისი კანონით:

1. დაცული ლანდშაფტი დაარსებულია საქართველოს პარლამენტის მიერ (კანონი შესაბამისი დაცული ლანდშაფტის შექმნის შესახებ);
2. დაცული ლანდშაფტს მართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული ადმინისტრაცია.

არაგვის დაცული ლანდშაფტის შემთხვევაში, კომპეტენციები იყოფა ორ ორგანოს შორის (დუშეთის მუნიციპალიტეტი და ეროვნული სატყეო სააგენტო), მრჩეველთა საბჭოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წარმოდგენილი თავის მიზანია ისეთი მმართველობის სისტემის შემოთავაზება, რომელიც მმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით კარგად შეეფერება არაგვის ტერიტორიის პირობებს (ტერიტორიაზე წარმოდგენილი სამი ადგილობრივი თემი).

## 3.1 კომპეტენციები

არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ კანონის მიხედვით კომპეტენციები შემდეგნაირად არის განაწილებული:

- **დუშეთის მუნიციპალიტეტი** პასუხისმგებელია დაცული ლანდშაფტის მართვაზე, გარდა სახელმწიფო ტყეებისა;
- **ეროვნული სატყეო სააგენტო** პასუხისმგებელია სახელმწიფო ტყეების მართვაზე დაცულ ლანდშაფტში; ამასთან კანონი ითვალისწინებს, მომავალში დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ტყეების მართვის შესაძლებლობას: ეს შეთანხმება უნდა გადაიხედოს 2025 წელს (5 წლის შემდეგ);
- **წარმომადგენლობითი ორგანო** - რომელიც ამ დოკუმენტში შემდგომში მოიხსენიება როგორც მრჩეველთა საბჭო, უნდა შეიქმნას რომ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა დაცული ლანდშაფტის მმართველობაში.

## 3.2 მრჩეველთა საბჭო

მრჩეველთა საბჭოს მიზანი განსაზღვრულია არაგვის დაცული ლანდშაფტის დაარსების შესახებ კანონით. არაგვის დაცული ლანდშაფტის შემთხვევაში, მრჩეველთა საბჭო რეგულირდება დაცული ლანდშაფტის დაარსების შესახებ კანონის მე-6 მუხლით. კანონის შესაბამისად მრჩეველთა საბჭოს დაფუძნება ხდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ. მისი შემადგენლობა, უფლებები, მოვალეობები და სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მრჩეველთა საბჭოს დებულებით. როგორც კანონშია ნათქვამი, მრჩეველთა საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მონაწილეობს არაგვის დაცული ლანდშაფტის მმართველობაში და მისი გადაწყვეტილებები მოქმედებს დაცული ლანდშაფტის ფართობზე, გარდა სახელმწიფო ტყის ტერიტორიისა.

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია წინადადება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის და მოქმედების სფეროს შესახებ, რომელიც მორგებულია არაგვის დაცული ლანდშაფტის კონკრეტულ ვითარებაზე და ძირითადი დაინტერესებული მხარეებზე, კანონში განსაზღვრული ჩარჩოს შესაბამისად:

მრჩეველთა საბჭო (მს) არის მრჩეველთა (საკონსულტაციო და საინიციატივო) ორგანო და არა აღმასრულებელი ორგანო. მისი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯებით უნდა განიხილოს არაგვის დაცული ლანდშაფტის დირექტორმა. მრჩეველთა საბჭოს ძირითადი უფლებები და მოვალეობებია:

- შემუშავება/თანამშრომლობა სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებისას, დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის წლიური საოპერაციო გეგმების ჩათვლით;
- კონსულტაცია ბიუჯეტის გამოყენების და დაგეგმვის დროს არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად;
- შეთავაზება/წამოწყება შესაფერისი საქმიანობების, რომლებიც უკავშირდება დლ მართას და მმართველობას.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების დამტკიცება.

მრჩეველთა საბჭოს წევრებს ნიშნავს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი არაგვის დაცული ლანდშაფტის დირექტორის რეკომენდაციით. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია რეგულარულად იცვლება სამი თემის სამ ადგილობრივ წარმომადგენელს შორის (გუდამაყარი, ფშავი, პირაქეთა ხევსურეთი) სამწლიანი პერიოდის განმავლობაში (თითოეულს ერთი წლის განმავლობაში უჭირავს აღნიშნული პოზიცია). არაგვის დაცული ლანდშაფტის დირექტორი ესწრება ყველა შეხვედრას, მაგრამ ხმის უფლების გარეშე. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც.

*კარგად სტრუქტურირებული სამუშაო ნაკადის და დავალებების სისტემატური პრიორიტეტიზაციის მიზნით, მრჩეველთა საბჭო ამტკიცებს მის დებულებებს (მათ შორის პროცედურული და ორგანიზაციული საკითხების წესებს), რომლებიც შემოთავაზებულია არაგვის დაცული ლანდშაფტის დირექტორის მიერ. არაგვის დაცული ლანდშაფტის დირექტორის მიერ წარმოდგენილი წინადადება შეიძლება შეიცვალოს დამტკიცებამდე, საჭიროების შემთხვევაში.*

*მრჩეველთა საბჭოს წევრების ყველა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მრჩეველთა საბჭოში მათ მუსაობასთან (გარდა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა), იფარება არაგვის დაცული ლანდშაფტის ბიუჯეტიდან.*

*მრჩეველთა საბჭოს შემოთავაზებული შემადგენლობა (წარმოდგენილია* 11 *პოზიციით):*

1) *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი*
2) *მცხეთა-მთიანეთის რეგიონის წარმომადგენელი*
3) *დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი*
4) *ადგილობრივი თემის წარმომადგენელი: გუდამაყარი*
5) *ადგილობრივი თემის წარმომადგენელი: ფშავი*
6) *ადგილობრივი თემის წარმომადგენელი: პირაქეთა ხევსურეთი*
7) *დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი (ფშავ – ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია)*
8) *ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი*
9) *ადგილობრივი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*
10) *ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი (სოფლის მეურნეობა/თევზის მეურნეობა/ტურიზმი და ა.შ.)*
11) *უნივერსიტეტის / კვლევითი დაწესებულების (ბიოლოგია / ეკოლოგია) წარმომადგენელი*

*საჭიროებისამებრ, მრჩეველთა საბჭოში შეიძლება შეიცვალოს ან თუნდაც გაიზარდოს წარმომადგენელთა რაოდენობა, თუმცა ის ყოველთვის შესაბამისი უნდა იყოს კენჭისყრისთვის და არ იყოს ძალიან დიდი გადაწყვეტილების მოქნილი მიღებისთვის.*

2018 *წელს, შეიქმნა დროებითი საკონსულტაციო ორგანო, გარკვეულწილად, მსგავსი შემადგენლობით პროექტის „არაგვის დაცული ლანდშაფტის მდგრადი მართვის ჩამოყალიბება" განხორციელების მიზნით. შესაძლებელია დავეყრდნოთ მისი წევრების გამოცდილებას, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმიანობაში (კონსულტაციები ზონირების პროექტის შესახებ, მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, სასწავლო ვიზიტი თუშეთის დაცულ ლანდშაფტში და ა.შ.) და მათი კანდიდატურების განხილვა მოხდეს მრჩეველთა საბჭოს წევრობისათვის.*

## 3.3 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია - სტრატეგიული ამოცანები

*დუშეთის მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, როგორც მუნიციპალიტეტის ცალკეული ერთეული, მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციებით. არაგვის დაცული ლანდშაფტის ხელმძღვანელი უნდა დაექვემდებაროს უშუალოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს. არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სტრუქტურის წინადადება, პერსონალის მოვალეობების დეტალური აღწერილობით, მოცემულია თავში* 3.4.

*ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკისა და დაგეგმვის დოკუმენტები, რომლებიც არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს (განაახლოს ან მონაწილეობა მიიღოს), დამტკიცოს და განახორციელოს გრძელვადიან პერსპექტივაში, არის:*

a. არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა და შემდგომი საოპერაციო გეგმები;
b. ტყის ინვენტარიზაცია, როგორც ტყით სარგებლობის წესების შემუშავების საფუძველი (ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით);
c. სახელმძღვანელო მითითებები (ტრადიციული) სამშენებლო საქმიანობებისთვის;
d. ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვის გეგმა;
e. მდგრადი ტურიზმის განვითარების გეგმა;
f. არაგვის დაცული ლანდშაფტის კომუნიკაციის სტრატეგია;
g. არაგვის დაცული ლანდშაფტის ფონდების მოძიების სტრატეგია;
h. სივრცითი განვითარების გეგმა.

## 3.4 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სტრუქტურა

შემოთავაზებულია შემდეგი სტრუქტურის განხორციელება (სურათი 1):

| N | პოზიციის დასახელება |
|---|---|
| 1 !!! | დირექტორი (და ადმინისტრაციისა და პროექტების განყოფილების უფროსი ერთდროულად) |
| | |
| 2 !!! | არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ასისტენტი / ბუღალტერი |
| 3 | ფონდების მაძიებელი/პროექტების კოორდინატორი |
| 4 !!! | ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (სატყეო ან ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი) |
| 5 !!! | რეინჯერი 1 (გუდამაყარი) |
| 6 !!! | რეინჯერი 2 (ფშავი) |
| 7 !!! | რეინჯერი 3 (პირაქეთა ხევსურეთი) |
| 8 | სოფლის მეურნეობის სპეციალისტი |
| 9 !!! | ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი |
| 10 !!! | ბუნებრივი რესურსების მენეჯერი |
| 11 !!! | მდგრადი განვითარების განყოფილების უფროსი (ურბანიზმის ან ტურიზმის სპეციალისტი) |
| 12 !!! | ტურიზმის სპეციალისტი |
| 13 !!! | ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების სპეციალისტი / არქიტექტორი |
| 14 | ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი |
| 15 | ეკო განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი |

სურათი 1: არაგვის არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის რეკომენდებული სტრუქტურა. სხვადასხვა ფერები განასხვავებს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორის წინაშე უშუალოდ პასუხისმგებელ განყოფილებებს ან პოზიციებს. სიმბოლო "!!!" აღნიშნავს პრიორიტეტულ პოზიციებს, რომლებიც უნდა არსებობდეს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებიდან.

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის პერსონალის რაოდენობა უნდა გაიზარდოს მისი დაფუძნების შემდეგ. წინადადება ძალაშია დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მუშაობის პირველი 5 წლის განმავლობაში, როდესაც სახელმწიფო ტყეები (დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი) არ ექვემდებარება დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის იურისდიქციას. თუ ეს შეიცვლება, თანამშრომელთა რაოდენობა (განსაკუთრებით ტყის მცველები და სატყეო სპეციალისტები) პროპორციულად უნდა გაიზარდოს.

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია უნდა დაიყოს სამ ერთეულად. ქვემოთ მოცემულია ადმინისტრაციის სტრუქტურისა და პოზიციების აღწერილობის დეტალები:

### 3.4.1 ადმინისტრაციული და პროექტების განყოფილება

განყოფილებას უშუალოდ მართავს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორი.

*<u>განყოფილების ტექნიკური დავალება</u>: ადმინისტრაციული და პროექტების განყოფილება ეხმარება დირექტორს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მენეჯმენტში და უზრუნველყოფს მომსახურებას ადმინისტრაციულ დონეზე დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ყველა სხვა განყოფილებებისთვის (ბუღალტერია, ორგანიზაციული საკითხები, დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის აღჭურვილობის მოვლა-პატრონობა და ა.შ.). გარდა ამისა, განყოფილება პასუხისმგებელია პროექტების მოძიებაზე და იმ პროექტების კოორდინაციაზე (ან ზედამხედველობაზე), სადაც დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია მონაწილეობს ან ახორციელებს მათ, როგორც ძირითადი განმახორციელებელი ორგანო. განყოფილება ასევე პასუხისმგებელია ფონდების მოძიების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ პროექტის მოძიების შესაძლებლობების დაგეგმვას, არამედ შემოსავლის ყველა პოტენციურ შესაძლებლობის განხილვას ან შესაბამის პარტნიორებთან თანამშრომლობას.*

*დირექტორის გარდა, როგორც დამოუკიდებელი თანამდებობა (განყოფილების უფროსი, გარდა მთელი დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის მენეჯმენტისა), განყოფილებაში წარმოდგენილია ორი პოზიცია:*

- ***დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის ასისტენტი/ბუღალტერი**. ადმინისტრაციული თანამდებობა*

  *<u>დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის ასისტენტი/ბუღალტერის ტექნიკური დავალება</u>: პასუხისმგებელია დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის ბიუჯეტის მართვაზე, ასევე ცალკეული ბიუჯეტის ნაწილების განაწილებაზე პროექტებისა და სხვა საქმიანობებისთვის, რომელშიც დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაცია მონაწილეობს. დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ასისტენტი ასრულებს დირექტორის ასისტენტის როლს და, თუ მას სთხოვენ შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის მენეჯმენტში დირექტორის გადაწყვეტილებით, კარგად განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად. ასისტენტი ასევე ეხმარება ყველა განყოფილებას ღონისძიებების მოწყობასა და პარტნიორებთან კომუნიკაციის პროცესში.*

  *<u>მოთხოვნები</u>: გამოცდილება ბუღალტერიაში ან ეკონომიკური მიმართულებით, ინგლისურ ენაზე საუბარი (მინიმუმ საბაზისო დონეზე) ჩაითვლება უპირატესობად.*

- ***ფონდების მაძიებელი და პროექტის კოორდინატორი***

  *<u>ფონდების მაძიებლის და პროექტის კოორდინატორის ტექნიკური დავალება</u>: ფონდების მაძიებელი რეგულარ კავშირში უნდა იყოს დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის დირექტორთან და ასისტენტთან იმისათვის, რომ ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის მენეჯმენტში და გაეცნოს დაცული ლანდშაფტის ბიუჯეტს და შემდეგი პერიოდის დაგეგმილ საქმიანობებს. ფონდების მაძიებლის ძირითადი ამოცანაა შეიმუშაოს დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის ფონდების მოძიების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის მიერ გამოყენებულ ფინანსურ წყაროებს (მაგალითად, დაფინანსება და პროექტების წყაროები, გარდა რეგულარული ბიუჯეტისა, დონორები, პოტენციური პარტნიორობი ჩარჩო პარტნიორობისთვის და ა.შ.). ფონდების მოძიების სპეციალისტი კოორდინაციას უწევს დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის ფონდების მოძიების სტრატეგიის განხორციელებას. ამის გარდა, აღნიშნული თანამშრომელი უხელმძღვანელებს, ზედამხედველობას ან კოორდინაციას გაუწევს პროექტებს, რომლებსაც მართავს ან რომლებშიც*

*ჩართულია დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, რაც მოიცავს როგორც პროექტის ისე ფინანსების მართვას (დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ასისტენტთან ერთად).*

*მოთხოვნები: უნივერსიტეტის დიპლომი ეკონომიკაში, პროექტის მართვაში და/ან კომუნიკაციაში, ინგლისურ ენის კარგად ცოდნა.*

### 3.4.2 ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება

*განყოფილების ტექნიკური დავალება: განყოფილება პასუხისმგებელია სპეციფიკურად ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ ოთხ საკითხზე: ბიომრავალფეროვნება, ტყის ეკოლოგია, წყლის რესურსების მართვა და სოფლის მეურნეობა. განყოფილება პასუხისმგებელია დაცული ლანდშაფტის მართვის გეგმის შემუშავების, რეგულარული განახლებისა და განხორციელების კოორდინაციაზე, მათ შორის დაცული ლანდშაფტის ზონირებაზე. განყოფილება ასევე მჭიდროდ ითანამშრომლებს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან სახელმწიფო ტყეებთან მიმართებაში დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის მიზნების განსახორციელებლად (პოტენციურად, ეს განყოფილება უნდა გაფართოვდეს, თუ სამომავლოდ სახელმწიფო ტყეების მართვა განხორციელდება დაცული ლანდშაფტის ადმიისტრაციის მიერ, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული). განყოფილების პერსონალი პასუხისმგებელია დაცული ლანდშაფტში ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესების შემუშავებასა და დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ინტერესების ჰარმონიზაციაზე, რათა ისინი შეესაბამებოდეს დაცული ლანდშაფტის მიზნებს. განყოფილება მჭიდროდ ითანამშრომლებს მდგრადი განვითარების განყოფილებასთან. დაცული ლანდშაფტის თითქმის ნახევარი ტყეებით არის დაფარული. მიუხედავად ამისა, როგორც კანონშია ნათქვამი, სახელმწიფო ტყეები რჩება, სულ მცირე პირველი 5 წლის განმავლობაში ეროვნულ სატყეო სააგენტოს მენეჯმენტის ქვეშ. შესაბამისად, საწყისი პერიოდისთვის ტყის მცველი და ტყის სპეციალისტი არ არის შემოთავაზებული. სამმართველოს უფროსის მოვალეობაა გაითვალისწინოს მენეჯმენტის გეგმის განხორციელების საკითხები სატყეო მეურნეობის დაგეგმვისას და სახელმწიფო ტყეების მართვასთან მიმართებაში. აგრეთვე დაადგინოს ტყის იმ ნაწილების გამოყენების წესები, რომლებიც სახელმწიფო არ არის.*

- ***ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსი***

  *ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსის ტექნიკური დავალება: განყოფილების მართვა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის კოორდინაცია. დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ჰარმონიზაცია დაცული ლანდშაფტის მთელ ტერიტორიაზე (ბიომრავალფეროვნების დაცვა, სატყეო და სოფლის მეურნეობების ჩათვლით).*

  *მოთხოვნები: საუნივერსიტეტო დიპლომი ბუნებრივი რესურსების მართვის, გარემოს დაცვასა ან ბიოლოგიაში არის აუცილებელი მოთხოვნა, ინგლისურ ენაზე საუბარი სულ მცირე საბაზო დონეზე.*

- ***რეინჯერები - რეინჯერთა მინიმალური რაოდენობაა 3 (თითო ხეობისთვის - გუდამაყარი, ფშავი და პირაქეთა ხევსურეთი)***

  *რეინჯერების ტექნიკური დავალება: განსაზღვრულ არეალში რეგულაციების და პოლიტიკის კონტროლი და დაცვა, ბუნებრივი მოვლენების და პირობების საბაზისო მონიტორინგი, პრაქტიკული მენეჯმენტის ღონისძიებების განხორციელება ველზე, რაც მოიცავს ტურისტული ინფრასტრუქტურის ზოგად მოვლას და ვიზიტორების დახმარებას.*

*<u>მოთხოვნები</u>: საშუალო სკოლის დიპლომი ან მინიმუმ 3 წლის შესაბამისი გამოცდილება, კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა.*

- ***სოფლის მეურნეობის სპეციალისტი***

  *<u>სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტექნიკური დავალება</u>: სოფლის მეურნეობის ნაკვეთებში, საძოვრების ჩათვლით, საქმიანობის მონიტორინგი, სოფლის მეურნეობის ნაკვეთების გამოყენების კოორდინაცია სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან მიმართებაში, კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის სფეროში აქტიურ დაინტერესებულ მხარეებთან დაცული ლანდშაფტის ფარგლებში.*

  *<u>მოთხოვნები</u>: უნივერსიტეტის ან საშუალო სკოლის დიპლომი სოფლის მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.*

- ***ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი***

  *<u>ბიომრავალფეროვნების სპეციალისტის ტექნიკური დავალება</u>: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და გარე პარტნიორების (აკადემიური ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია. ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემთა შეგროვება და სისტემური ანალიზი (სახეობები და ჰაბიტატები). რეკომენდაციების შემუშავება მენეჯმენტის გეგმასთან მიმართებაში, რაც დაკავშირებულია დაცულ ლანდშაფტში ბიომრავალფეროვნების კარგი მდგომარეობის საფუძვლის შექმნასთან. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ზომების ინტეგრირების ზედამხედველობა დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებულ პოლიტიკის დოკუმენტებსა და გეგმებში.*

  *<u>მოთხოვნები</u>: უნივერსიტეტის დიპლომი ეკოლოგიაში (ბოტანიკა, ზოოლოგია), ინგლისური ენის ცოდნა წარმოადგენს ძირითად პირობას (მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ინფორმაციის წყაროების გამოყენებისთვის და გარე პარტნიორებთან თანამშრომლობისთვის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიმართულებით).*

- ***ბუნებრივი რესურსების მენეჯერი***

  *<u>ბუნებრივი რესურსების მენეჯერის ტექნიკური დავალება</u>: დაცული ლანდშაფტის არეალში წყლის ობიექტების გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი და რეგულირება ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს დაცული ლანდშაფტის მიზნებს, ჩამდინარე წყლის მართვის, წყალდიდობისგან დაცვის ზომების გატარების და ა.შ. ჩათვლით. გარდამავალ პერიოდში (როდესაც დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია არ არის პასუხისმგებელი სახელმწიფო ტყის მართვის საკითხებზე და ამიტომ ტყის მენეჯერის სპეციალური თანამდებობა არ არის შემოთავაზებული), ბუნებრივი რესურსების მენეჯერი ასევე უნდა გაუმკლავდეს არასახელმწიფო ტყეებში სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და საქმიანობის კოორდინაციას ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. უფრო მეტიც, დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ფუნქციონირების დასაწყისში, თუ სოფლის მეურნეობის სპეციალისტის თანამდებობა ჯერ არ არის დაკავებული, ბუნებრივი რესურსების მენეჯერმა და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტმა ასევე უნდა უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების მიზნების განხორციელება სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და მენეჯმენტში დაცული ლანდშაფტის ფარგლებში.*

  *<u>მოთხოვნები</u>: უნივერსიტეტის დიპლომი ბუნებრივი რესურსების მართვაში.*

### 3.4.3 მდგრადი განვითარების განყოფილება

განყოფილებას უნდა ხელმძღვანელობდეს ურბანიზმისა და ტურიზმის მიმართულებით განათლების მქონე ხელმძღვანელი, ანუ ერთ-ერთი იმ ორი ძირითადი სექტორიდან, რომელზეც პასუხისმგებელი იქნება განყოფილება.

განყოფილების ტექნიკური დავალება: განყოფილება პასუხისმგებელია ტურიზმის განვითარებაზე, დასახლებებსა და მათ განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე და ზოგადად სივრცით დაგეგმვაზე. გარდა ამისა, განყოფილება აფასებს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში დირექტორს ურჩევს მისი გაფართოების შეზღუდვებს. ყველა ამ კომპეტენციის კარგად შესასრულებლად, განყოფილება შეიმუშავებს, რეგულარულად ანახლებს და ახორციელებს შემდეგ დაგეგმვის დოკუმენტებს: ტრადიციული არქიტექტურის წესებს, ნარჩენების მართვის გეგმას, ტურიზმის განვითარების გეგმას და სივრცითი განვითარების გეგმას. დაბოლოს, განყოფილების კომპეტენცია არის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და განსახორციელება საერთაშორისო თანამშრომლობის ჩათვლით.

- **მდგრადი განვითარების განყოფილების უფროსი**

  განყოფილების უფროსის ტექნიკური დავალება: განყოფილების მართვა და დაცული ლანდშაფტის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის კოორდინაცია. სხვადასხვა გეგმებისა და სტრატეგიების (ძირითადად, ტრადიციული არქიტექტურის წესების, ნარჩენების მართვის გეგმის, ტურიზმის განვითარების გეგმის, სივრცითი განვითარების გეგმის და საკომუნიკაციო სტრატეგიის) შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია და მათი შესრულების უზრუნველყოფა.

  მოთხოვნები: უნივერსიტეტის დიპლომი ურბანიზმისა და ტურიზმის მიმართულებით, ინგლისურ ენაზე საუბარი სულ მცირე საბაზო დონეზე.

- **ტურიზმის სპეციალისტი**

  ტურიზმის სპეციალისტის ტექნიკური დავალება: პასუხისმგებელია ტურიზმის განვითარების გეგმის შემუშავებაზე, რეგულარულად განახლებასა და განხორციელებაზე. გეგმა მოიცავს ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვას და განვითარებას, ტურისტული ნაკადის მონიტორინგს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე და მისი გავლენის შეფასებას, ასევე ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციას ტურისტული საქმიანობის შესაძლებლობების შესახებ (მაგალითად, სასტუმრო სახლები).

  მოთხოვნები: ტურიზმის, ეკონომიკის ან მსგავსი მიმართულების საუნივერსიტეტო დიპლომი, ინგლისური ენის ცოდნა წარმოადგენს ძირითად პირობას.

- **ურბანული დაგეგმვისა და განვითარების სპეციალისტი/არქიტექტორი**

  ურბანული დაგეგმვისა და განვითარების სპეციალისტის/არქიტექტორის ტექნიკური დავალება: პასუხისმგებელია ტრადიციული არქიტექტურის წესების შემუშავებაზე და ამ სფეროში მათი გამოყენების უზრუნველყოფაზე. ის რეგულარულად აკონტროლებს დასახლებებში მიმდინარე საქმიანობებს და ურთიერთობს ადგილობრივებთან, რომ დაეხმაროს მათ სათანადო გზების გამონახვაში (ლანდშაფტისთვის დაუზიანებლად) სახლების ტრადიციული მიდგომებით აღსადგენად.

  ის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან (დუშეთის მუნიციპალიტეტი) თანამშრომლობით კოორდინაციას უწევს კონკრეტული ტერიტორიის სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავებასა და რეგულარულ განახლებას დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე.

*<u>მოთხოვნები</u>: უნივერსიტეტის დიპლომი არქიტექტურაში ან ურბანიზმში, ინგლისური ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.*

- ***ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი***

  *<u>ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტის ტექნიკური დავალება</u>: პასუხისმგებელია კულტურული ძეგლების დაცვაზე, სახელმწიფო ხელისუფლებასთან, კულტურული და სასულიერო ცხოვრების ადგილობრივ წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ისტორიული ადგილების მოვლასა და განახლებაზე.*

  *<u>მოთხოვნები</u>: უნივერსიტეტის დიპლომი ეთნოგრაფიაში, ისტორიაში ან კულტურის კვლევებში, ინგლისური ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.*

- ***ეკო განათლების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი***

  *<u>ეკო განათლების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ტექნიკური დავალება</u>: პასუხისმგებელია კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებაზე, კოორდინაციაზე და განხორციელებაზე, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით (მაგალითად, პარტნიორობა კონკრეტული დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან საზღვარგარეთ). გარდა ამისა, იგი გეგმავს ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობებს ადგილობრივი სკოლებისთვის ან ტურისტული ჯგუფებისთვის. საჭიროების მიხედვით იგი გიდის საქმიანობას ასრულებს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე.*

  *<u>მოთხოვნები</u>: საუნივერსიტეტო დიპლომი კომუნიკაციის ან გარემოს დაცვის მიმართულებით, ინგლისური ენის ცოდნა წარმოადგენს წინაპირობას, რუსული ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.*

## 3.5 არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

*მას შემდეგ, რაც მოხდება არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაკომპლექტდება, მნიშვნელოვანია გამოიყოს საკმარისი დრო და ბიუჯეტი საჭირო აღჭურვილობის შესაძენად და თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებისათვის.*

### 3.5.1 შესაძლებლობების გაძლიერება

*აუცილებელია პერსონალის საექსპერტო შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მუდმივი გაუმჯობესება, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაცული ლანდშაფტის სათანადო მენეჯმენტი და ადმინისტრირება.*

*შემდგომი ტრენინგების ზუსტი საჭიროებების დადგენა უნდა მოხდეს დაქირავებული პერსონალის ფაქტობრივი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დონის ანალიზის საფუძველზე, თანამდებობრივი სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.*

*ზოგადად, საჭირო კომპეტენციები უნდა განვითარდეს აღნიშნულ სფეროებში:*

a) *ტექნიკური უნარები, კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის ჩათვლით (როგორიცაა* MS Word, Excel, Access, Power point, GIS *და სპეციალიზირებულ მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და ა.შ.) და საველე აღჭურვილობის გამოყენება;*

b) *დაცული ტერიტორიების მენეჯმენტთან დაკავშირებული სპეციალური ცოდნა, მათ შორის ტრენინგი ბიომრავალფეროვნების დაცვის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, მენეჯმენტის დაგეგმვის, იურიდიულ საკითხებსა და კანონის აღსრულებაზე;*

c) *პირადი უნარები, როგორიცაა კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების უნარ-ჩვევები, სტუმრებისთვის არაგვის დაცული ლანდშაფტის ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების ინტერპრეტაცია, უცხო ენის ცოდნა;*

*შესაძლებლობების განვითარება შეიძლება მოხდეს როგორც ტრადიციული ფორმით (ტრენინგები, სასწავლო კურსები, სასწავლო ტურები სხვა დაცულ ტერიტორიებზე), ასევე თანამედროვე ფორმატით (ელექტრონული სწავლება).*

*უნდა დამყარდეს და განვითარდეს მჭიდრო თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან (მაგალითად, რეინჯერთა ერთობლივი ტრენინგები).*

### 3.5.2 აღჭურვილობა და ოფისები

***ოფისები***

*დაცული ლანდშაფტის გეოგრაფიული მასშტაბის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი უზრუნველყოფა:*

a) *დაცული ლანდშაფტის სათაო ოფისით (შენობა დუშეთში ან მის მახლობლად)*

b) *ორი საველე ოფისით (პირაქეთა ხევსურეთში და გუდამაყრის ხეობაში)*

*საჭიროა განისაზღვროს ოფიციალური სამუშაო საათები ოფისებისთვის - მუდმივი სამუშაო საათები სათაო ოფისისთვის და სეზონური სამუშაო საათები (მარტი-ნოემბერი) საველე ოფისებისთვის. ოფიციალური სამუშაო საათების განმავლობაში პერსონალის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ოფისში საჯარო კონსულტაციებისთვის.*

***აღჭურვილობა***

*აუცილებელია დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის და მისი პერსონალისთვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა და მოვლა-პატრონობა. კომპიუტერები, რომლებსაც აქვთ ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, 4WD მანქანა, არის არაგვის დაცული ლანტშაფტის ფუნქციონალური უზრუნველყოფის წინაპირობა.*

*რეინჯერებისთვის და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომლებისთვის აუცილებელია დამატებითი სპეციალური აღჭურვილობა, როგორიცაა ფორმები, გარე ტანსაცმელი (ზაფხული და ზამთარი) და მოწყობილობები ბინოკლები, ფოტოაპარატები (ფოტოხაფანგების ჩათვლით) და ა.შ.*

*აღჭურვილობის დეტალური ჩამონათვალის მიწოდება არ წარმოადგენს ამ დოკუმენტის მიზანს. ამასთან, საჭიროა საკმარისი ბიუჯეტის გამოყოფა აღჭურვილობის შესაძენად, განსაკუთრებით დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაარსების და ფუნქციონირების პირველ ეტაპზე.*